სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/91

ქ. თბილისი

6 ივნისი 2025წ

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის ატესტაციის ჩატარების წესის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), კარლო კოპალიანის 2025 წლის 5 ივნისის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის სხდომის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოწონებული იქნეს „სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის ატესტაციის ჩატარების წესი“ (დანართი) და დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**